ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1392797

ნომერი: AR1237998

თარიღი : 17.07.2014

გაცემის თარიღი : 22.07.2014

გაცნობის თარიღი : 22.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 150 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჯავახაძე პ/ნ 01017015930
- თბილისი, დიმიტრი ბაქრაძის შეს. #1/3

ორგანიზაცია:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კოდი: 204559691

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ.თბილისში, დავით აღმაშენებელის გამზ. N 150 –ში, არსებული შენობის ფასადის ნაწილის რეკონსტრუქციის საკითხს.

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, სამსახურის მიერ, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. მოთხოვნის ტექსტში სრულად არ არის წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი, კერძოდ გარდა არსებული ვიტრინის რეკონსტრუქციისა, იგეგმება შენობის ფასადის რეკონსტრუქცია, მათ შორის კედელზე, რომელზედაც არის კარის და ფანჯრის ღიობი მოეწყობა მთლიანი, ვიტრინის ტიპის ღიობი. აგრეთვე იგეგმება სარეკლამო აბრების მოწყობა და არსებული კიბის რეკონსტრუქცია–გაფართოება;
2. ფოტომონტაჟის თანახმად, კიბის რეკონსტრუქცია–გაფართოების შედეგად, იზრდება კიბის განაშენიანების ფართობი. იხურება სარდაფის სართულის წინ არსებული სივრცე, რაც საჭიროებს მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა 100%–ანი თანხმობის წარმოდგენას საპროექტო სამუშაოებთაან დაკავშირებით;
3. არ არის წარმოდგენილი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება, მითითებული ხარვეზების გამოსწორების (15 დღის ვადაში) შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.